მარნეულის კოლეჯი
COLLEGE OF MARNEULI

დამსაქმებელთა კვლევის ანგარიში

2020-2021 სასწავლო წელი

კვლევის ანგარიში მომზადებულია შპს მარნეულის კოლეჯის ხარისხის მართვის ხელმძღვანელის, -შორენა ალაგარდაშვილის მიერ.

http://www.mc.edu.ge

სტრუქტურა

1. კვლევის მიზანი; კვლევის ამოცანები; სამიზნე ჯგუფი; კვლევის მეთოდი
2. თემის აქტუალობა
3. კვლევის შერჩევა
4. კვლევის შეზღუდვა
5. კვლევის მონაცემები
6. დასკვნა

კვლევის მიზანი

- დამსაქმებელთა კმაყოფილების დონის დადგენა პროფესიული სასწავლებლით;
- შრომის ბაზრის კონკრეტულ სეგმენტში მოთხოვნადი პროფესიების გამოვლენა;

კვლევის ამოცანები

- დამსაქმებელთა მხრიდან შპს მარნეულის კოლეჯის კურსდამთავრებულებით კმაყოფილების დონის დადგენა;
- დამსაქმებლების სამომავლო გეგმები პროფესიულ სასწავლებელთან კერძოდ მარნეულის კოლეჯთან;
- დამსაქმებელთა ჩართულობის გაზრდა საგანმანათლებლო პროცესში.
- დამსაქმებელთა მხრიდან სასურველი თანამშრომლობის ფორმის დადგენა;

კვლევის მეთოდი, ინსტრუმენტი

- მეთოდი: რაოდენობრივი
- ინსტრუმენტი: კითხვარი

სამიზნე ჯგუფი:.

- კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციები და ორგანიზაციები სადაც დასაქმებულნი არიან კოლეჯის კურსდამთავრებულები

თემის აქტუალობა

- შპს მარნეულის კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახური ითვალისწინებს რა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების საჭიროებას და მნიშვნელოვნებას, დაგეგმილი აქვს მიზნობრივი კვლევები და სხვადასხვა მონაცემთა დამუშავების მექანიზმები, რომლის შედეგების საფუძველზე იძლევა რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

- ერთ-ერთი მიზნობრივი კვლევა არის დამსაქმებლის კვლევა, რომელიც კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს სტანდარტით დაკისრებული ვალდებულების შესრულებას.

კვლევის შერჩევა

- კვლევისთვის საჭირო ცდის პირების შერჩევა განხორციელდა შპს მარნეულის კოლეჯში არსებული დამსაქმებლის ბაზიდან.
- ბაზაში არსებული ორგანიზაციების მცირე რაოდენობამ (26), აუცილებელი გახადა კვლევა განხორციელებულიყო ყველა მათგანთან.
- თუმცა, სულ 12 ორგანიზაციამ მიიღო კვლევაში მონაწილეობა.

კვლევის შეზღუდვა

- კვლევის შეზღუდვის კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის ვალიდურობაზე გავლენა მოახდინა ორგანიზაციების უარმა კვლევაში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით. სულ 12 ორგანიზაციამ მიიღო მონაწილეობა.

- ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, კვლევის მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე საჭიროდ ჩათვალა, მიღებული მცირე მონაცემის მიუხედავად მაინც მომხდარიყო მონაცემების დამუშავება.

კვლევის მონაცემები

- კვლევის ფარგლებში ორგანიზაციებს უნდა შეეფასებინათ მათთან დასაქმებული შპს მარნეულის კოლეჯის კურსდამთავრებული პირების კომპეტენცია,
  - გამოკითხულთაგან 6 ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ კურსდამთავრებულები კარგად ფლობენ პროფესიას - სჭირდებათ ტრენინგი გარკვეული დოზით,
  - ხოლო 5 ორგანიზაცია ფიქრობს, რომ სრულყოფილად ფლობს პროფესიას - არ სჭირდებათ დამატებითი ტრენინგი.
- ასევე, რესპოდენტებს უნდა შეეფასებინათ და დაესახელებინათ ის უნარები, რომლის ნაკლებობას განიცდიან შპს მარნეულის კოლეჯის კურსდამთავრებულები.
  - გამოიკვეთა, რომ ასეთი უნარები არის: უცხო ენების არასათანადო დონეზე ფლობა(7)
  - საქმიანი ზეპირი კომუნიკაციის უნარის ნაკლებობა (3).

კვლევის მონაცემები

კვლევის ფარგლებში რესპოდენტებს უნდა გაეცათ პასუხი შპს მარნეულის კოლეჯთან ურთიერთობის ფორმების და სამომავლო გეგმების შესახებ კოლეჯთან მიმართებით, და ასევე შეეფასებინათ კოლეჯი კონკრეტული მახასიათებლების მიხედვით. როგორც მონაცემებიდან გამოიკვეთა:

- 5 ორგანიზაციას კოლეჯთან აქვს გაფორმებული მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ.
- 3 ორგანიზაცია პროფესიულ სტუდენტებს სთავაზობს საწარმოო პრაქტიკას;
- 1 ორგანიზაცია ასაქმებს პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულებს;
- 1 ორგანიზაცია მონაწილეობას იღებს პროფესიული სასწავლებლების ღია კარის დღეებში

კვლევის მონაცემები

ორგანიზაციებმა შეაფასეს შპს მარნეულის კოლეჯის შემდეგი მახასიათებლებით:

- მასწავლებელთა კვალიფიციური კადრები - დადებითად შეაფასა 3 ორგანიზაციამ;
- კოლეჯის ადმინისტრაციის მოქნილობა თანამშრომლობის პროცესში - დადებითად შეაფასა 6 ორგანიზაციამ;
- გამართული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა -დადებითად შეაფასა 3 ორგანიზაციამ;
- პროგრამების შინაარსი -დადებითად შეაფასა 5 ორგანიზაციამ;

კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების უმრავლესობამ განაცხადა თანხმობა შპს მარნეულის კოლეჯთან ურთიერთობის გაგრძელების შესახებ და არსებული ურთიერთობა შეაფასა მაღალი ქულით (საშუალოდ 8 ქულა).

კვლევის მონაცემები

საგანმანათლებლო პროგრამები, რომლის ფარგლებშიც სურთ ორგანიზაციებს თანამშრომლობის გაგრძელება/დაწყება შპს მარნეულის კოლეჯთან არის:

- აღმზრდელი - 1 ორგანიზაცია
- საოფისე საქმე - 1 ორგანიზაცია
- ფარმაცია (სააფთიაქო) – 5 ორგანიზაცია
- საექთნო განათლება - 4 ორგანიზაცია
- ინფორმაციის ტექნოლოგია - 1 ორგანიზაცია

მათ კომპანიაში უახლოესი 5 წლის მანძილზე ექნებათ მოთხოვნა შემდეგ პროფესიებზე: ექთანი, ექთნის თანაშემწე, ფარმაცევტი, ტექ.პერსონალი, აღმზრდელი, ფსიქოლოგი.

დამსაქმებლის რეკომენდაცია კოლეჯს

კვლევის პროცესში ორგანიზაციებს ჰქონდათ შესაძლებლობა შპს მარნეულის კოლეჯისთვის მიეცათ რეკომენდაციები სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით და უნდა აღინიშნოს, რომ ერთერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია იყო პრაქტიკული მიმართულებით უფრო მეტი აქტივობების დანერგვა შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით.